

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს			
ოქტ.	მან.	ოქტ.	მან.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

# ი ვ ე რ ი ა

გაზეთის დასაყვებად და კერძო განცხადებებში დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუთხეში, ავგალიის ქუჩაზე, კორნელიძის ძეგლის პირდაპირ, თავ-გურუჩინის ქუჩის სახლში; წერა-კითხვის განყოფილებაში, ცხოველური კანცელიარიის, ასობაზე დასაყვებად დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციის სახლში, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877-1893 **ს ა ხ ლ ი ტ ი კ ა და ს ა ლ ი ტ ე რ ი ა ტ ყ რ ი ა გ ა ზ ე თ ი** 1877-1893

კვირას, 30 მაისს,

## გ უ ზ ე თ ა ი ლ ი ს ბ ა ლ უ ი

ქართული შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ იქნება

### სახალხო სემინარია

#### ლატარია-ალეგრიტა

შესასვლელი ბილეთი ღირს აბასი. სალატარია-თითო აბასი. დაწვრილებით გამოცხადებულია აფიშებში.

**სახალხის აზრების ახსნაშემატება**

რადგან იანვარში დანიშნული კრება არ შესდგა, კვირას 6 ივნისს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება „სახლების აზრების ახსნაშემატების“.

განსახილველია შემდეგი საგნები:

- 1) ანგარიში „ახსნაშემატების“ მოქმედების წარსულ წილსა.
- 2) არჩევანები გამგეობის წევრობა და
- 3) ახალ ახსნაშემატების არჩევანები. (5-3)

რდახლოდ წიროვისა და პარაკლისის შემდეგ, მის მალალ ყოვლად უსამღველოდ დასაბუთების სახლში საბჭოს წლიურ კრებაზე. ამ კრებაზე, თანხმად საზოგადოების წესდების მე-12 მუხლისა, წაკითხულ იქნება საზოგადოების ანგარიში 1892 წლისა, არჩეულ იქნებიან საბჭოს ახალი წევრნი, მათ მაგერად, ვისაც სამსახურის 3 წლის ვადა გაუთავდათ; აგრედვე არჩეულ იქნება კამისია საზოგადოების წარსულ წილის ანგარიშის სარევიზიოდ.

**ახალი არჩევანები**

ხვალ ხელახლად უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოსათვის ხმოსნების არჩევანი, რადგანაც მთავრობამ გააუქმა 16 მაისის არჩევანი, ვითარცა უკანონოდ მომხდარი.

რამი და რითი იყო უკანონო მომხდარი არჩევანი—ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალთ და დღევანდელი ინტერესი არც ამაშია,

რითაც ისინი უგალობდნენ ბუნების დიდებულ სურათს დილის ჰიმნს, ღ განსაკუთრებით—იქვე ახლად აკოკრებულ ვარდის ბუჩქზედ მჯდომ ბულბულის აღზნებულ სტვენას, რომელიც სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს; დათუას არ ესმოდა აგრეთვე ვენახის გვერდით წყალში თევზების შლაპუნა, რომლებიც უეცრად ამოხტებოდნენ ჰაერში, რომ დაღვანათ დიდებული სურათი, და ისევ უეცრად წყალში ჩაშვების დროს ბოლოთი გამოადენდნენ ხოლმე ტყაცანს; ის ვერ ხედავდა იქვე თვალწინ მდგომ ვახის სიხარულის ცრემლს, და სხვა მცენარეების მოძრაობას ვილა იტყვის, რომლებსაც მოგზაურათ შენამული გული აღმოსავლეთით და თავანსა სცემდნენ იმ სურათს, რომლის წინაშეც სულდგმული თუ არა სულდგმული, პირუტყვი თუ სიტყვიერი, გენიოსი თუ არა გენიოსი, ნიქი თუ არა ნიქიერი, ველური თუ არა ველური, ყველა ერთ გვარად მონადეობდა და თავის პიროვნებას იმის დიდებულ სიმშვენიერეს უერთებს.

აგერ, დათუაზედ კარგად მოშორებით ტყის პირას გამოსულა ხარ-ირემი, რომელსაც მრავალ-შტო-

სწორედ რომ ვსთქვათ. დღეს ჩვენ ჩვენი ყურადღება სხვა მხრით უნდა მივაქციოთ 16 მაისის არჩევანს, ქალაქის საბჭოსათვის ზოგადის თვალთ იგი უნდა გავსინჯოთ და განვიკითხოთ და, როგორც ჭკუის მასწავლებელი მაგალითი, გამოვიყენოთ ხვალისათვის.

თუ ამ თვალთ შევხედავთ 16 მაისის არჩევანებს, თვალწინ აგვეტუზება ერთი აუცილებელი საკითხი: ამ 16 მაისის არჩევანმა თავისი წმინდა მოვალეობა შეუსრულა თუ არა ტფილისის მცხოვრებთა ვიდრე ამას პასუხს ვეტყუოდეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ თვით ეს მოვალეობა არჩევანისა.

არჩევანს უნდა მოეწვია ქალაქის საბჭოსათვის ხმოსნები, ესე იგი, კაცები, რომელთაც შესაძლებელ საკვებით უნდა წარმოადგინონ სურვილი და საჭიროება მთელის ქალაქისა. ამაშია მთელი სული და გული იმ თვით-მართველებისა, რომელიც კანონით მიწვებული აქვს ქალაქსა. ამ სახით კანონით დანიშნული აქაურ საბჭოსათვის ოთხმოცთა ხმოსნთა კრებული ისე უნდა იქმნას შემდგარი, რომ ყოველს შესაძინებს ნაწილს ქალაქის მცხოვრებლებისათვის სურვილის და საჭიროების გამოსატყველად ხმა და ადგილი ჰქონდეს. უამისოდ შეუძლებელია ქალაქის ანუ სხვა რისამე თვით-მართველობა თავის დანიშნულებას მისწვდეს და თვით-მართველობა თვით-ნებობად და ძალ-მომხრებად არ გადაიქცეს.

16 მაისის არჩევანებმა ამგარად დაგვანახა, რომ ერთმა შეთქმულმა ნაწილმა ქალაქის მცხოვრებ-

ლებისამ პროგრამად მიიღო: ჩვენ და არავინ სხვამ ფეხი არ უნდა შემოდგას საბჭოში. ამ სახით ამ ერთმა ნაწილმა ცალმხრივ გაიწია, თვითონ იგდო ხელთ ბურთი და მოედანი არჩევანისა და ყოველი სხვა შესაძინევი ნაწილი ქალაქის მკვიდრთა არა რად მიიჩნია, გასწირა და გარიყა, თითქო არ არსებობდა და, თუ არსებობდა, ადამიანებად ჩასათვლენი არ არიანო.

ამ პროგრამის ამყოფნი, მართალია უფრო დიდს ნაწილს შეადგენენ ქალაქის მცხოვრებლები-სას და მათი გამარჯვება 16 მაისს ამ მიზეზს უნდა მიეწეროს. საქმეც ის არის, რომ ჩვენ და არავინ სხვა მოქმედების საფუძველად დასაფუძვნი არ არის და ამისთანა ციხე-სიმაგრეზე დაშორებული უმრავლესობა არ არის იგი უმრავლესობა, რომელსაც ადამიანი პატივსა სცემს და რომელსაც, უნდა თუ არა, ემორჩილება, ვითარცა განაჩენს ერისას. ჩვენ გვესმის მნიშვნელობა და ძალა უმრავლესობისა მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოიმუქველია ზოგადის საჭიროებისა და ამ ზოგად საჭიროებისაგან არის წარმოდგენილი. თორემ რომ მოვიწინათ, — მოდიოთ, ქალაქის საბჭოში ჩვენ შავ-თმიანებმა, ან ქერა თმიანებმა სულ შავ-თმიანები, ანუ ქერა თმიანები ამოვარჩიოთო და აღმოჩნდეს რომ შავ-თმიანები, ან ქერა თმიანები ბევრნი არიან საარჩევანო კრებულში, ნუ თუ ამათი გამარჯვებული განაჩენი განაჩენი იქნება იმ უმრავლესობისა, რომლის ხმაც სწამს ადამიანს, ვითარცა ხმა ერისა, და

ბარს ფეხი ღონიერად დაჰკრა, რის გამოც ბარის პირი მომხალ მიწაში ღრმად წაივინა და დიდი ბელტი ამოავლო. პირველ ბელტს მეორე, მეორეს კიდევ მესამე მოჰყვა და ასე ბელტი-ბელტს მიეწყო.

ირემი-კი განუსაზღვრელ აღტაცებაში მოვიდა და გაგიჟებით დახტობდა ველზედ. ის უეცრად გაქანდებოდა ხტუნაობით ტყის ერთ ნაპირიდან მეორემდის და უეცრად ისევ მოტრიალდებოდა, უკან ხტუნაობითვე დაბრუნდებოდა; ხან უეცრად შუა ველზედ შედგებოდა, პირს ახლად ამწვანებულ ბალახს დაადებდა და ჩაპლაღებდა მიწას, თითქოს იქ, ქვესკნელს ჩაძახის თავის ტოლს, რომ იქიდან ამოვიდეს და ამისთან ერთად ისიამოვნოს, დასტებეს სიცოცხლით და თავი დავიწყებას მისცეს. ჩაბლაღებდა ერთი-ორჯერ კიდევ და, რაკი იქიდან პასუხს არავინ აძლევდა, ისევ ასწევდა მალა თავს და რქებ გადაშვებული იწყებდა ისევ ისე ხტუნაობას.

აგერ ის შესდგა უკანა ფეხებზედ და რამდენსამე წამს ისე გაჩერდა; იმან აღზნებულად დააქვიტა თავლები და ის-ის იყო ტყისკენ გადა-

რომელსაც პატივისცემით ემორჩილება.

ამისთანა საფუძველზე დაშორებული უმრავლესობა მოკლებულია იმ პატივისცემებს დედა-აზრს, რომლის ძალითაც უმრავლესობა უნდა უმრავლესობადეს. აი დიდი შეცდომა 16 მაისის არჩევანებისა რამი იყო.

გაწირულ და გარყულ ნაწილებმა ქალაქის მცხოვრებლებისამ 16 მაისის მოიწადინეს თავისი წარმომადგენლები იყოფიონ ახალ საბჭოში და საარჩევანო კრებულს დაუსახელებს თავისი სასურველი კაცები ამოსარჩევად. ამ ნაწილებმა განა არ იცოდნენ, რომ თუ მართო თავისკენ გაიწვედა ქალაქის მცხოვრებთა დიდი ცალმხრივი ნაწილი, ვერაფერს გახდებოდნენ. ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ სწამდათ, რომ საარჩევანო კრებულში ცალ-ქობა და ცალმხრობა-კი არ დაადგენს განაჩენს, არამედ სამართლიანობა, წინდახედულობა და იგი შეუბღალავი და საყვალდებულო მნიშვნელობა წარმომადგენლობისა, რომელიც თხოულობს, რომ ყოველმა ინტერესმა, ყოველმა საჭიროებამ ქალაქისამ რაც შეიძლება მეტის საკვებით იქონიოს თავისი ხმა და გზა გამოსატყველად და გამოსარჩეულად.

ამ პატივისცემის რწმენას უმტყუნა 16 მაისის არჩევანმა. ეს წმინდა და სასურველი იმედი 16 მაისის არჩევანმა ქარს მისცა და მტკვრად ადგავა. ეს ბრალი მთელის თავის სიმძიმით უნდა კისრად იდევან, უნდა იტვირთონ მათ, ვინც წინ უძღოდნენ იმ ცალ-

შვებას აპირებდა, რომ ამ დროს თოფმა იგრილა. ირემი შეტორტმინდა და გულის საკლავის ამობლაგლით, წინ გადახტომის მაგივრად, გულაღმა გადავარდა.

ტყის პირიდან გამოვარდა ახალგაზდა ყმაწვილი და გადაჩეხილ ირემთან მირბენისათავე სიხარულით წამოიძახა:

— შიგ გულში არ მოჰხვედრიან... ირემმა-კი ძალ-დატანებით ქუთუთობს განზედ გასწია და ცრემლში მოცურავი თვალის კაკლები თავის მკვლელს მიაპყრო, რითაც თითქოს ამას ეუბნებოდა: „გაუმაძლარო, რა დაგიშავე, რომ სიცოცხლეს მისპოპა?!”

ამის პასუხად ყმაწვილმა ხანჯალი ყელში გაუგდო და მოუსწრაფა სიცოცხლე.

— ეხლა რომელი ქრისტიანი ადამიანი ესვრის რასმე თოფს! წამოიძახა დათუამ იქით მიხედვის დროს, საიდგანაც თოფის ხმა მოესმოდა, და, ყმაწვილი რომ იცნო, განაგრძო:

— მაშა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოჩანეს... ბოლო სიტყვა სიმღერით გაათავა და რამდენჯერმე ამ დროს ბარს


## ველეტონი

ჩემი ბაბი არ არის, ღმერთო!..

I

დათუა შრომიშვილი დაპყრობიდა ბარის ტარს ვენახში და გასტყეპროდა აღმოსავლეთით თხლად შემოხილ მთის წვერს, რომელსაც ოქროს ფერი დამსხიული გვირგვინი დასდგომოდა, რის გამოც იგი ისევ გამოიკტირებოდა და მოეღვარებდა, თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიაო. ელვარებდა იგი, გაჰქონდა ლაპლაპი; მისი ალი ცას სცემდა, მაგრამ ობლად მდგომნი მთის წვერზედ ახლად გაფოთილი ხეები უფნებლად და ნახად გამოიკტირებოდნენ ცეცხლის შუაგულიდან; ეკიდებოდათ იმათ ცეცხლი, მაგრამ-კი არ იწოდნენ.

დათუა შრომიშვილი, დამთვრალი სიცოცხლის ნექტრით შეზავებულ დილის ჰაერით, მთლად ჩანთქმული იყო ამ დიდებულ ბუნების სურათის მხერით და მთელის ტანით თრთოდა. იმას არ ესმოდა იმის გარშემო ფრინველთა გატაცებული ქიკვიკი,



სტურ და ცალმხრიულ უმრავ-  
ლესობას საარჩევანო კრებულ-  
სას, ვინც ნიშნის აძლევდნენ, ასე  
თუ ისე მოიქცეითა და არა ისე,  
როგორც თქვენი საკუთარი სურ-  
ვილი, რწმუნა და სინიღისი გამ  
ხელთო.

ხვალინდელმა კრებულმა, ხვა-  
ლინდელმა არჩევანმა იგი უმა-  
ჯური, წინდაუხედავი და—მეტს  
ვტყვი—უკუნური შეცდომა 16  
მაისის არჩევანისა უნდა გაასწო-  
როს და თვალწინ დაიყენოს, რომ  
ქალაქის საბჭო მხრთა მა-  
შინ იქმნება ღირსი თავის სახე-  
ლისა, როცა ბჭედ და გამგედ ქა-  
ლაქის საქმეებს ეყოლებათ ყველა  
ნაწილის გაცნა საკმაო სახეობით  
და რიცხვით. ჩვენ გვწამს კეთილ-  
გონიერება და წინდახედულობა  
ჩვენის ქალაქელებისა და იმედი  
გვაქვს, რომ იგი კეთილ-გონიერე-  
ბა ხვალ არჩევანში თავის შესა-  
ფერს ადგილს ღირსეულად დაი-  
ჭერს, შავს თეთრად არ აქცევს,  
თეთრს შავად, და არ აჭკვება იმ  
ზოგერთა ფეხის-ხმას, რომელ-  
თაც, თვალწინ თავისი გაიყვანა,  
და არაფრად მიანიათ მერმისისა-  
თვის მკვიდრთა შორის შუღლისა  
და სამედურავის ჩამოგდება.

### ახალი ამბავი

ჩვენ მოგვივიდა ქალაქ ახალ-  
ქალაქიდან 10 მან. იქაურ ქართველ-  
თა შორის შეკრებილი სალიტერა-  
ტურა ფონდის სასარგებლოდ. ამა-  
ვე აზრით მოგვივიდა შუშიდან 2  
მან. ბ-ნ ი. ზედგინიძისაგან. ამ ფუ-  
ლისა გვქონდა 217 მან. 40 კაპ.  
შესდგა სულ 229 მან. 40 კაპ. სიას  
ახალ-ქალაქელ შემომწირველებისა  
შემდეგ დაგეგმივთ ცალკე.

წერა-კითხვის გამავრცელე-  
ბელ საზოგადოების ლატარისთვის  
თ. ი. კ. ბავრატიონ-მუხრან ბატო-  
ფეხი ჩაჭრა.

დათუას ამის შემდეგ თავი მ ღლა  
აღარ აუღია და გამაღებული ჰბარა-  
ვდა. ბარვის დროს დათუა ჩამღე-  
როდა და ჩაჭვენს და მიწას, რითაც  
თავს იმხნევებდა და დალაღვას არ  
ტკობულობდა, თუმცა იმის სახიდან  
ოფლი ჩამოწკრილობდა და ნაბარ-  
ში ჩადიოდა.

მოატ. ნა სადილობამ და დათუა-  
მაც უკანასკნელად ჩაჰმ. ხა მიწა :  
შობიდან სიკვდილამდისა  
შენ ჩამოგტირით, დედაო,  
სიკვდილის შემდეგ შენვე  
მიგვიკრამ ხოლმე მკერდსაო!..

გათავებისას დათუამ ღონივრად  
დაჭრა ბარს ფეხი და ასე მიწაში  
ჩარქობილს გაანება თავი. თითონ-კი  
გამოჰხნა ქრულ ხელსახოციდგან  
გამხმარი ქერის პური და ვაზის ძირ-  
ში მიმჯდარმა ლოდნა დაიწყო. იმას  
ქალიან უჭირდებოდა ჩაყლაპვა, რა-  
დგანაც ქერის პური პირში ნამცე-  
კებად იმღებოდა, და, რომ ნამცე-  
კებისთვის თავი ერთად მოეყარა,  
წყალს ხშირად მიჰმართავდა ხოლმე  
და ლიტრას მალი-მალ იყუდებდა.  
ნახევარი პური ჯერ არ შეეკამა,  
რომ თავს იმისი ცოლი ნენე წამო-  
აღვა.

ნის მ. ზ. ა. მ. შევოსწირა ორი ბო-  
თლი ღვინო თითო მანეთიანი.  
ბ-ნმა ალავერდოვმა—ერთი წყვი-  
ლი ფეხ-საცმელი.  
ბ-ნმა ავეტისოვმა—ერთი ბროშა  
და ორი საფერფლე.

კნ. ნინო სიმონის ასულმა ჯამ-  
ბაკურ-ორბელიანისა ხილის ვაზა,  
ერთი დიდი, და ერთიც პატარა, და  
ექვსი ლამბაქი მურაბისა.

ნორბლინგმა და ამხ. ფრაიეს ორი  
ვაზა.  
ზ. გ. სულიკოვმა 4 პენალი, 2  
უბის წიგნი, 2 ნესესერი და 2 დასტა  
ქალაღლი.

კნინა ქეთევან პაგრატიანს მუსრა-  
ნისკისამ შევოსწირა: სარკე და წყვი-  
ლი ვაზა.

ელენე იოსელიანისამ—კალათი.  
თ. ს. ვ. ამირჯანბა: ერთი  
გრაფნი, პრესპაიე, სათამბაქო, 2  
ტულიეტის ლამბაქი, 2 ყულაბი,  
ფინჯანი, კალათა, თეთრი ვაზა, ცის-  
ფური ვაზა, 3 ქიქა, კლემების ჩასა-  
წყობი, საწერელი, საღებავები, სა-  
ფურფლე, 12 ყაჩანდაში და დასტა  
ქალაღლი.

ბ-ნ რ. ტინოვმა—ნ ქოლგა, 6 ხე-  
ლსახოცი.

27 მაისს ტფილისის ქალაქის  
გამგებობას მიართვეს თხოვნა ათმა  
კაცმა და ითხოვეს, ბილეთები მო-  
გვეცით ახალ არჩევანზედ დასას-  
წრებლათაო. ეს ამომარჩევლნი 16  
მაისს კრებას არ დასწრებთან.

ორშაბათს, 31 მაისს, ფერშა-  
ლთა სასწავლებელში თავდება ეგზა-  
მენები. წელს სულ 12 მოწაფე ათა-  
ვებს სწავლას; ამათში ექვსი ქართვე-  
ლია; ეგვ. იმნაძე, ერ. რამიშვილი,  
ნიკ. ჩიჩუა, დომ. კეკელიძე, გიორ-  
გი შიუკაშვილი და ილ. მგალობლი-  
შვილი. სამშაბათს, 1 თიბათვეს, ამ  
სასწავლებელში დანიშნულია წლიუ-  
რი აქტი.

ტფილისის მოქალაქეთა სტარო-  
სტა (мъщанскій староста), ისიაა  
ივანეს ძე აბრამოვი, რომელიც ახლად  
იქნა არჩეული, დამტკიცებულ იქნა

— ცარიელა რა მოგატლიკინებდა,  
რო მოტლიკინებდი, შაჰმანდს ვერას  
მადელდებდი? მიჰმართა დათუმ თავის  
ცოლს ხელებით, რადგანაც იმას  
ქერის პურის ნამცეკვი სასულეში გა-  
დაუყარდა.

— რისა უნდა მამედლებინა, რომ  
მაგრე იცი? უპასუბა ნენემ და იმის  
გვერდით ჩაჯდა.

— მარბლ-წყალს მაინც მადლდე-  
ბდი და წამომიღებდი, რომ ჩამეღობო  
ქერის პური და აღარ დავერჩე.

— იპ, რა დროს ვეგებია, თუ ღმერ-  
თა გწამს! მე რისთვის მოვედი და  
ეს შაჰმანდს გაიძახის.

— მეგრე და რატომ არ იტყვი, რი-  
სთვის მოხვედი?

— რო აღარ დამაძალე!

— ჰო და ეხლა თქვი. უთხრა  
და მოსამენად მოემზადა.

იმან ჰამა შესწყვიტა და ლიტრას  
ხელი დააქრა.

— იმათ მოვედი, რომ იასაულმა  
და „პრიპტვის“ ჩაფარმა „პოსეტკა“  
გადმომცეს.

— რა „პოსეტკა“?

— „სულში იბარებენ დათუასაო“.  
— რიპთვისა, ადამიანო?  
— რა ვიცი, რიპთვისა!.. აი დაი-  
ქი და გაიგე რიპთვისაც.

თავის თანამდებობაზე ტფილისის გუ-  
ბერნატორის მიერ, სტაროსტამ წარ-  
სულს ორშაბათს ფიცი მიიღო და  
შეუღვა თავის მოვალეობის აღსრუ-  
ლებას.

ტფილისში ჩამოვიდა პეტერ-  
ბურგლდან ამიერ კავკასის რკინის  
გზის ინსპექტორი ინჟინერი ზენგერ-  
ბეკოვი, რომელმაც უნდა დაათვ-  
ლიეროს ევლახისა, ფილისისა და  
კსპის ხილები; რადგანაც ამწყლებმა  
ადიდება იციან. ინსპექტორი უკვე  
გაემგზავრა გუშინ ევლახს.

დ. ქობულეთი: 20-ს მაისს აქ  
მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვე-  
ლოესობა გურია-სამეგრედლოს ეპის-  
კოპოზი გრაგოლ თავის კრებულ-  
თურთ. ეპისკოპოზს დიდის პატივცე-  
მით მიეგებნენ, როგორც აქაური  
მართლ-მადიდებლნი, ისე ქართველ-  
ნი მამადიანნიცა. მეორე დღეს,  
ეპისკოპოზის თანდასწრებით მოჰ-  
ნათლეს და მირონი სცხეს აბღუშე-  
ლში მყოფი მელდესე, ძველით ებ-  
რაელს. 23 მაისს, კვირა დღეს, აქაუ-  
რმა საზოგადოებამ აკურთხებინა ეპი-  
სკოპოზს აქაური ბაღი, სადაც სადი-  
ლდაც მიიბატეა. ბაღის კურთხევის  
შემდეგ თავ-მოყრილს ხალხს დარი-  
გება მისცა, მოაგონა დიდებული წა-  
რსული დროება აქარა-ქობულეთისა,  
მერე უამბო, როგორ დიპყრო ეს  
მხარე ოსმალომ და როგორ მიიღეს  
მამადის სარწმუნოება აქარა-ქობუ-  
ლეთის ქართველებმა, რომელთაც  
დღესაც დატული აქეთ ქართული  
ზნე-ჩვეულება და ენაო. ახლა ბედმა  
კვლავ შეაერთა დიდის ხნით ერთ-  
მანერთისაგან განშორებულნი ძმანი,  
რომელნიც, იმედია, ერთმანერთს ქე-  
შმარტს მშობს გაუწევთ და შეიძ-  
ვარებთ ძველებურადო, სადილმა დი-  
დის ამბით ჩაიარა და გასტანა კარგა-  
ხანამდე. ბოლოს, როცა ბათუმის მა-  
ტარებელი მოვიდა, მისი ყოვლად უსა-  
მღველოესობა გამოეთხოვა ხალხს  
და წაბრძანდა ფოთს.

ქუთაისა: 25 მაისს ახალს თე-  
ატრში ბ-ნმა მ. ა. ბალანჩივამ გა-

იმან ამ სიტყვებთან ერთად ჯიბი-  
დგან უწყება ამოიღო და დათუას  
გაუწოდა.

— არა, შე ოჯაქარო, მაგას რო  
მაწვდი, გადავაბულბულზე თუ!

— მე-კი გადავაბულბულზე?

— დიდება შენთვის, ღმერთო!..  
პირჯვარი გადიწერა ამ სიტყვებზედ  
და შემდეგ ცოლს შეტევით უთხრა-

— რატომ არა ჰკითხე, რიპთვის:  
სათქო? სასუდე რა მქირს! რა დავა-  
შავე ადამიანო?!

— მეგრე არა ვკითხე, რომ მაგრე  
ცულ უბრალოდ ჰქვიელი იცი! რო  
არ მითხრეს, რა მექნა? ღვდელი კი-  
დევ შინ არ იყო, რო წამეკითხები-  
ნა.

— ჩაფარმა რატომ არ გითხრა,  
იმას ხომ ეცოდინებოდა?

— ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი,  
რა ვიცი, რატომ არ მითხრა?! „იქ  
წავიდეს და გიგებსო, რიპთვისაც  
არის დაბარებულიო“. ასე მითხრა,  
მე რომ ვკითხე.

— დიდება შენთვის, ღმერთო,  
სასუდე რა დავაშავე? ქურბდობა არ  
გამიწვეია და ბოზობა, ვალი არა  
ვისი მმართველს და ვაზში და სულში  
რათ უნდა მიმართეღვენენ!.. ერთი  
ს. მარად თუმანი-ლა მმართველს კომლობა

ჰმართა კონცერტი ბ-ნ ა. ს. ბენა-  
შვილის ხაროს დახმარებით. პირველ  
განყოფილებაში კონცერტანტმა და  
ხორომ სთქვეს სიმღერით რ-მ-  
დენიმე რომანსი და სიმღერო  
ლექსები. სხვათა შორის: „შენ  
გეტრფი მარად“, „თამარის დროშა  
გაშალეს“, „ნანა, შელო“ და სხვ.  
ხორომ სთქვ: „ქონა“, სოფელს წე-  
ვაში გაგონილი, „ღამმეგო, ქალს  
გაქებენ“ და სხვ. მეორე განყოფი-  
ლებაში ბ-ნმა ბალანჩივამ, სთქვა  
„აღმართ-აღმართ“ და სხვა რუსული  
და ქართული სიმღერები. ბ-ნ ბენა  
შვილის ხორომ—„მადლი შენს გამ-  
ჩენს, ლამაზო“, „დელო ნანინა“ და  
„იმ ქვეყნის ნორჩო ყვაილო“. სა-  
ზოგადოება ბლომად დაესწრო კონ-  
ცერტს და, როგორც ეტუობოდა,  
ძალიან მოსწონდა, როგორც ბალან-  
ჩივადის, ისე ხოროს სიმღერა. „ბრა-  
ვოს“ დახილითა და ტაშის კვრით ბევრ-  
ჯელ დააჯილოვებს კონცერტანტი-  
ცა და ხოროც. ბ-ნს ბალანჩივადის  
მართვის აგრედვე დაფნის გვირგვი-  
ნიც.

ახალ-სენაგა: ჩვენში წაკლებად  
არის ამ რამად სისუფთავე. ჩვენს ქს  
ხომ, რომელიც გვაძლევს წყალს მთე-  
ლის დაბის მცხოვრებლებს, სრუ-  
ლიად ყურადღება არა აქვს თიფქმის  
მიტკეული.

სოფ. ხატოზია (სენაგის მახრა):  
გვალვების გამო გუთანი ვერ  
გავვიმართავს. მისი გაღის და ყანე-  
ბის მესამედი შეუქუშავებელია. აღ-  
მოსავლეთის ქარმა ხეხილი დააზარა-  
ლა ნაადრევი ჯგჯილებიც ამწვარ-  
აშუშულია. აბრეშუმის მოსავალს  
კარგს მოვიღიან, თუ ამინდებმა ხელი  
მოუმართა. წითელა ჩაოგვესახლა და  
აგერ კარგა ხანი აავს აღარ გვენე-  
ბებს.

სოფ. კავადგან (საინგილო) იწე-  
რებიან: აქეთვეს მაისის ავდრობამ სა-  
გრძნობელი ზარალი მისცა ზოგიერთ  
სოფლებსა, მეტადრე სეტყვამ დაზია  
ნა სოფლები ემურჯანდო, საკანი და  
სხ. ყანების მოსავალს კარგს ამბო-  
ბენ, თუ ამინდმა დააცლა მოჭირნა-

ამოწყვეტილისა და ხომ შამოღლომაც  
ტბილი უნდა მივცე, პირობა ასე  
გვაქვს და ის რათ მიჩივლებდა!...  
— ვისი-ლა გამართებს, კაცო?  
— ვისი-ლა და აგერ აი სახლობა  
ამოსაწყვეტ ისაკასი!  
— აი ღმერთმა კი ნუ ახვიროს  
იმისი თავი და ტანი!.. უთუოთ ის  
მქსინავე გიჩივლებდა! იმას ხომ  
ღმერთი არ დასვენებს, თუ არავის  
არა უხიამანარა.

— რაზე უნდა მიჩივლოს იმ სახლ-კარ  
დაქტეულმა!...  
— ეშმაკმა იცის იმისი თავი და  
ტანი, რა ვიცი რაზე უნდა გიჩივლოს.  
რამდენჯერ გითხარ, მაგ სახლ-კარ  
ამოწყვეტილ ჩამოეცალე-მეთქი, რომ  
მაგრე უღვოთ ყველას ტყავს აძ-  
რობს, მაგრამ შენ მაინც არ იშლი,  
მალი მალ წახვალ და იმას მიადგები  
კარს  
— რას მიედ-მოედები და როშავ,  
როდის ერთხელ მივადექ კარს, ჰა?!

— რა ვიცი, თუ არ მიადექი, მაშ  
რაში აძლევ ჩვენ სარჩო-საბადებელს  
ყოველ წელს? გეთავვათ, ყოველ  
წელს ბატონიეთი სამსე ტომარები და  
ტიკები-კი მიიქვს და!..  
— იმაში მიიქვს, რომ ურისავით  
ძველ თამასუქებს დაუწყო ძებნა და

მალი-მალ „კანცელარიაში“ ხან ერთს  
უჩივლებს და ხან მეორეს: „ეს მამა-  
შენმა აიღო ვალადო, ეს კიდევ ბი-  
ძაშენმაო“. რა ვიცი, მართლა აი-  
ღეს, თუ არა! ამღები არ არის ცო-  
ცხალი და მოწმეები.  
— თუ მაგრე არამხადობით არ  
შეიძინა ხომ ღმერთი ვერ გააშლბს  
იმის თვალს!  
— მაგრე რო არ ეარამხადნა, მაშ  
რითი გადაჰქიმავდა ი ორ „ატაყიანს“  
სასახლეს, ეხლა რო შიგ ბატონიეთ  
ცხოვრობს? მაშ არა და თავის ალა-  
ლად მოგებულ ფულით გადაჰქიმა აი!  
დათუა და იმისი ცოლი ნენე გე-  
ბნენ ისაკას ლანძღვა-წყევლაში, რა-  
დგანაც ისინი თითქმის დარწმუნებუ-  
ლები იყვნენ, რომ ისაკას მეტი არა-  
ვინ უტყვიანებდა“ რასმე, თუმცა-  
კი უწყების შიანარისი არ იცოდნენ.

— ადამიანო, აბა ერთი წაკითხე  
ვისმე, მარტო ი ამოსავარდნელი და  
ამოსაბუგველი მიჩივის თუ არა! უთ-  
ხრა დათუამ ბოლოს და წამოღდა.  
— რაღა წავაკითხო ვისმე, ის იქ-  
ნება და ის, აბა სხვას ვის რად უნ-  
და ჩენი ცოდო! დარწმუნებით უპა-  
სუხა ნენემ და წასასვლელად წამო-  
ღდა.

შ. არაგვისპირელი  
ვარშავა.  
(შემდეგი იქნება)

ხულოთ მისი შემოღება და დაბნა-  
ვება.

წოდება: 27 მაისს, ღამის 2  
სათსა და 2 წამს, 106 ველსე რკი-

ნის გზის ლიანდაგზედ ჩამოწვა ქვის  
ხეავი 20 საყენამდე, რის გამოც სა-  
ქონლის მატარებლები შეჩერებული  
იყო, სახალხო მატარებლები-კი ორ-  
სავ მხრიდგან დადიოდა და ხალხს  
ერთის მატარებლიდგან მეორეში სხაე-  
დნენ, რის გამოც სახალხო მატარე-  
ბელმა ტფილისში ჩამოსვლა მთელი  
8 საათი დაიგვიანა. გუშინ საღამოს  
ათ საათამდე გზა შეკეთეს კიდევ.

გორი: 26 მაისს, დღისით 3  
სათზე, 219 ვერსზე წავიდა ცეცხ-  
ლი 2000 შპალს და ღამის 8 საათამ-  
დის ეკიდა. ბევრი შპალი დაიწო.

სოფ. თუკლათა (სენაგის მახრა):  
გაზაფხულმა გვიტყუნა. ცივი და სა-  
სტიკო ქარი ჰქრის ხან აღმოსავლეთი-  
სა, ხან დასავლეთისა. ხანგრძლივმა  
გვალვებმა გაგვიქურვა საქმე. გვალვე-  
ბისა გამო ჩვენკენ ხენა-თესვა შე-  
ჩერებულიყო და ღმერთს ეხვეწებო-  
დით წვიმა მოველინა. 21 მაისს,  
ძლივს-ძლივობით, როგორც იყო,  
გვეღირსა წვიმა, მაგრამ საკმაო მა-  
ინც არ იყო. მეორე დღეს ისევ ამო-  
ვარდა აღმოსავლეთის გიჟი ქარი და  
გახანო დედამიწა სამწუხაროდ. წელს  
ჩვენკენ ნაგვიანევი მოსავალი იქმნება  
და იმასაც, ვინ იცის, რა ამინდი და-  
უღდება. მაისში უწინ ყანები მოხნუ-  
ლიცა გვექონდა და ამ დროს ამწვა-  
ნებული ჯეჯილი ბწყინავდა ოქროს  
ფერად.

ვერ იქმნა და ვერ აიწია სიმინდის  
ფასმა აქეთვეს.

ცულმა გაზაფხულმა გაავრცელა  
ყვავილი, ყელ-ქვივება, წითელა, სა-  
ოფლე და სხ. უფრო გაავრცელე-  
ბულია წითელა. წითელა თითქმის  
ზამთრიდგანვე მძვინკარებს და მას  
აქეთ მუსრს ავლებს პატარეებსა.

ჯამათი (სიღნაღის მახრა): ჯიმი-  
თი და საზოგადოდ უკანა მხარი,  
განთქმულია პურის მოსავალით. სხვა-



გან რომ პური გამოღეულიყო, აქ იშო-  
ვიდა კაცი ძველს პურს. ახლა ჯიშითაც  
შემოაკლდა პური და ჩავარდა გაჭირ-  
ებაში. ბაზარ ადგილებზედაც შიშის  
არის ეს სოფელი, რომ იქ მაინც გაჭი-  
რის რამე, ან იმუშაოს რა თითო ორო-  
ლა გროში აილოს სხვა-რე სხვა მოვალე-  
ობის გასატუმარებლად. ამას გარდა,  
ჯიშით გაუჭირდა კიდევ საქმე უტყე-  
ობით. ტყე ბარემ დიდი ჰქონდა,  
მგრამ ეს ტყე ახლა სახელმწიფოდ  
შეირაცხა და უბილეთოდ იქილამ  
სარგებლობა არ შეუძლიან ჯიშითელს.  
გაჭირებისაგან ხომ აკლებულია ეს  
სოფელი. მთელს უკანა მხარეში,  
სადაც ოკამდე სოფელი მოითვლება,  
ერთი სკოლა არსად არ არის. მერე  
ჯიშითი საქმად დიდი სოფელია და,  
თუ სადირექტო არა, სამრევლო  
სკოლა მაინც უნდა გაიმართოს რო-  
გორმე.

\* 30 მაისს ტფილისის ქალაქის  
არჩევანებზედ კენჭს უყრიან 175  
კანდიდატს; მაგრამ როგორც გაზეთს  
„H. O.“-ს შეუტყვიან, 10—12 კაცს  
უარს უთქვამს კანდიდატობაზედ.

\* გაზეთი „H. O.“ იუწყება,  
რომ ვ. გუბია ამხადებს ახალს ვო-  
ლდეილს, რომელსაც სახელად ეწო-  
დება „კენჭის ყრა.“

\* 27 მაისს პოლიციელმა პიშიკოვმა  
მიიყვანა პოლიციაში ორი ბავშვი. პოლიცი-  
ელს ეს ბავშვები ლაბორატორიის ქუჩაზე  
ებოვნა ღობის უკან მაგდებულნი. ბავშვები  
ორის კვირის დაბადებულნი უნდა იყვნენ  
და გაიზნავენ საბებიო ინსტიტუტში.

\* 28 მაისს ახალ არსენალის ქუჩაზე  
უცრად გარდაიცვალა სოფ. ველისციხის  
მცხოვრებელი ზაქარ ლახარეს ძე ბუარატინი

\* ამ თვის 27 უცრადვე გარდაიცვალა  
ბაგრატიონის ქუჩაზე ვრუგის მცხოვრებელი  
52 წლის გეუჩე არუთინოვი.

# დაბაღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ცხინვალი** (გორის მხარა),  
24 მაისს. ჩვენი მხარე საუკეთესო  
კუთხეა მთელს გორის მხარაში. თი-  
თონ ცხინვალიც ამ ცოტას ხანში  
იმისთანა წარმატების გზას დაადგა,  
რომელსაც იქნება ზოგიერთი პატა-  
რა მახრის ქალაქებიც-კი მოკლებუ-  
ნი იყვნენ. ადგილობრივ მცხოვრებ-  
თა მეცადინეობით, ცხინვალს დღითი  
დღე ემატება თითო რამ, რაც-კი  
საჭირო არის იმის საკეთილდღეო არ-  
სებისათვის. ექიმი, ბებია, მომრიგე-  
ბელ-მოსამართლე, ბოქაული, ფოს-  
ტი, ტელეგრაფი, აფთაპი, საზოგა-  
დო სამკითხველო, ყოველივე ეს არ-  
სებობს დღეს ცხინვალში, მაგრამ ამ  
ათიოდ-თუთხმეტის წლის წინად-კი  
ყველას მოკლებული იყო, და არც  
ერთი ნაკლულევანება, იქნება, ისე არ  
იყო საგრძნობელი მკვიდრთა კეთილ-  
დღეობისათვის, როგორც უქიმიო-  
ბა, — უწამლობა. ერთი და მეორეც  
მოიპოვებოდა მხოლოდ გორში და  
ისე ძვირათ ჯდებოდა, რომ უმრავ-  
ლესობისათვის ყოველად შეუძლებე-  
ლი იყო მიემართა მათთვის შეუძლებ-  
ლობით. ავადმყოფნი ღვთის ანაბარად  
იყვნენ, მეტადრე ახლო-მახლო სოფელ-  
ებში; რე თუ მათ შორის ვინმე გაუგებ-  
ლობით მიჰპართამდა მატყუარა მკითხ-  
ვებს, უკანასკნელ სარჩო-საბადებელ-

საც სტოვებდა რე ხშირად სიცოცხლე-  
საც ესალმებოდა უბრალო რამ ავად-  
მყოფობისა გამო, რომლისთვისაც,  
იქნება, თავის დროზედ რომ მესწ-  
როთ, ეშველნა ერთს კოვსს ზეთს,  
ქინაქინას, ანუ სხვა რამე ასეთსავე  
სადა წამალს.

აი ამისთანა უქიმიობასა და უწამ-  
ლობაში გაუჩნდა ჩვენს კუთხეს, ავ-  
რედვე საფლავანდიშვილოს, დიდის  
და პატ რა ლიახვების ხეობას, — ერთი  
ქრისტიანი ადამიანი, შეიარაღებული  
საკმაო ცოდნით და წამლებითაც,  
ფერშალი ბ-ნი ვასილ გაბრიელის ძე  
ძუწოვი (კავკაველი ოსთავანია). ამ  
თუთხმეტის წლის განმავლობაში ძუ-  
წოვი იყო თითქმის ერთად ერთი  
„სახსის ქაშა“ და უანგარო შრო-  
მით, ხალხთან თავზიანის ქცე-  
ვით, ავადმყოფებისათვის დრო-  
ზედ და დაუზარებლივ შემწეო-  
ბის მიცემით დამსახურა იმისთანა  
ნდობა და სიყვარული, რომელიც  
ხშირად არც კი რგებიათ წილად დიდ  
ხარისხიან ექიმებს და სხვა საზო-  
გადო მოღვაწეებს. ეტყობა, ბ-ნს  
ძუწოვს ცოდნა-გამოცდილებასთან  
ჰქონია ადამიანის მოსიყვარულე გუ-  
ლიც, რაცა უფრო იშვიათია ამ  
ჩვენს საუკუნეში. ამ ნაირი მოღვა-  
წეობით ძუწოვი შეიქმნა ყველასათ-  
ვის თითქმის შინაურ ექიმად და ამ  
ექიმიობაში ვიზიტის ფულის მიღების  
მაგიერად, ხშირად დაუტოვებია ლა-  
რობ ავადმყოფების ოჯახში თავი-  
სი უკანასკნელი გროშებიც და  
ბევრს ავადმყოფსაც სწორედ რომ  
მოსწრება-ექიმად გასჩენია. თუმ-  
ცა ძუწოვის მოღვაწეობა შეეხე-  
ბა მთელს ცხინვალის საბოქაუ-  
ლოს, რომელიც სივრცით არ ჩამოუვარ-  
დებია ზოგიერთს მახრებს ტფილის-ს  
გუბერნიისას, მაგრამ იგი უფრო  
დაახლოვებული იყო ცხინვალელებზედ  
და ბინადრობაც იქვე ჰქონდა. ამიტო-  
მაც ცხინვალის საზოგადოებამ და  
ახლო მახლო სოფლების თავად-ახნა-  
ურობამ მოინდომა ბ-ნ. ძუწოვი-  
სათვის გადაეხანა სამაგიერო, და  
მით წახალისებინა შემდგენისათვის  
უფრო ნაყოფიერსა და თავ-დაღე  
ბულ საშრომლად.

24 ამ მაისს დ. ცხინვალში  
ბ-ნ. ძუწოვს იმისმა პატივის მცემლებმა  
გაუმართეს საპატიო ნაღიმი, რომელ-  
ზედაც დაეწერნენ ასიოდე ქალი თუ  
კაცა, ყველა წოდებისა და რჯულისა,  
შემოსწრებულ საპატიო სტუმრებს  
გარდა. ნაღიმს თითქო ხელს უწყობდა  
თვით ბუნებაც: შეგნიერი მისის დღე,  
ახლად გაფოთლილი და გამწვანებული  
ვენახი, სადაც იყო ნაღიმი, გვერდზედ  
დიდი ლიახვი — თითქოს ეცილებოდნენ  
ხალს ამ დღესასწაულში; ყველაფერ-  
მა ისე მშვენიერად ჩაიარა, როგორც  
შეჭვირის იმ მშვენიერს გარემოებას,  
რომელმაც გამოიწვია პატივისცემა  
ბ-ნის ძუწოვისა. სადილზედ ამ  
„ტანჯულთა და სნეულთა მეგობ-  
ბარს“ მიაართვეს სახსოვრად ძვირ-  
ფასი ოქროს სათი ძვირფასისავე  
ოქროს ძეწკით. წარმოითქვა რამდენ-  
იმე, იქნება, დაუღაბებელი, მაგრამ  
გრძნობით სავსე სიტყვა, მიმართუ-  
ლი ბ-ნ ძუწოვისადმი. აღვლევ-  
ბულმა „ხალხის ექიმმა“ მოწიწებით  
და თავდალობით გამოუცხადა დამ-  
სწრეთ მადლობა და სიტყვა, რომ  
სრულებითაც ღირსი არა ვარ ანა-  
ირის პატივის ცემისა, და თუ რაიმე  
კეთილი დამითესია ხალხშიო, დღე-  
ვანდელ დღეს ერთი ათასად მომე-

გო და ისე დავალბებული ვარ ამით,  
რომ მთელი ჩემი დანარჩენი სიცო-  
ცხლეც ამ ვალის გადახდას რომ  
მოვანდომო, ვერც-კი გადავიხდომი.  
ცხინვალელი.

## კათალიკოზნი საქართველოს ეპარქიისა

(488—1811 წ.) \*

**აბრაამ (1279—1300 წ.)**. ესე აბ-  
რაამ და მღვდელი მოსე თან ახლ-  
დნენ 1289 წ. დიმიტრი თავდად-  
ებულს მონგოლებთან, არღუნ ყეენის  
ბრძანებით წამებულს; მისი გვაში  
ტფილისელ მეთევზე ვაჭრებს გამო-  
აბარებინეს, ქილოში შეხვეული, და  
მცხეთას დაფლეს. ამანვე აბრაამ გა-  
დაარჩინა სიკვდილს ძე დიმიტრისა  
დავით VI და კათალიკოზი აბრაამ  
კეთილად ჰმართებდა საქმეთა (საქე-  
თა) კათალიკე ეკკლესიისათა, რამე-  
თუ იყო კაცი ესე მართლ-მოქმედი  
კეთილთა საქმეთა, და საუბრეთა სა-  
მეფოთა გამგე კეთილი (ქ. ცხ.  
420 გ.). ასე ავიწვირს მემტაიანე აბ-  
რაამის გამგეობასა (იხ. მშვენიერი  
ცნობანი ქ. ცხ. 418—424 გვ. და  
ვახუშტ. ისტ. 251—259 გვ.). აბრა-  
ამის მეცადინეობით მონგოლებმა და-  
უბრუნეს დავითს VI ტფილისი.

**მეტიმი (1301—1335 წ.)**. ეს იყო  
ძმის წული ბასილი ათონელისა. ამან  
მიიღო მონაწილეობა „ძველის დება“-ს  
შედგენაში, ეპისკოპოსთა და ერის-  
თავთა თანა (იხ. ვახ. ისტ. 279 გვ.  
და ქ. ცხ. 449 გვ.).

**ბასილი (1336—1354 წ.)**. ესე იყო  
დიდი პატრიკოს ვაჩეს ძე (ყინაველი-  
სა?). რა კი მაჰმადიანთ ძლიერმა მთა-  
ვრობამ ფენი მკვიდრად მოიკიდა სა-  
ქართველოში, იწყეს მუქარა ქრისტი-  
ანობის აღმოფხვრისათვის; ჰქმნა მეფე  
გიორგი V კრება განსამტკიცებლად  
ქრისტიანობისა 1344 წ. „განახლე-  
ბისათვის საეკლესიოთა წესთა, გან-  
მართვად რე დადგენად მოწესეთა წესთა  
ზედა თვისთა და უწესთა განკვე-  
თად“ (ქ. ცხ. 450 გვ.). ამა ბასილს  
გამოუცხადა სრული მორჩილება სამ-  
ცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსთაგან კუ-  
მურდოს მთ. — ეპისკოპოსმა ზოსიმემ,  
რა-კი თვით ყვარყვარე ათაბაგი  
(1335—1361 წ., სარგისის ძე) ემო-  
რჩილება საქართველოს მეფეს და  
მცხეთის კათალიკოსს. ამა თვით წე-  
რილი: ა) „მოგახსენეთ ჩვენ პატ-  
რონმან ათაბაგმან ცათა მობაძავსა კა-  
თოლიკე, მცხეთისა საყდარსა და მას  
შინა დაშვიდრებულსა ქართლისა კა-  
თალიკოსსა ბასილის და კათალიკე  
მცხეთის საყდრის შვილთა მას ჟამსა,  
ოდეს სჯულის საქმეზედ კარზედ მო-  
გადევით (1344 წ. კრების დროს)  
და ჩვენ ამას დაგპირდით, იპრიანოს  
ღმერთმან და ჩვენი საპატრონო მ-  
ბული ჩვენვე დავიჭიროთ, როგორა-  
თაც ძველითგან და პაპისა და მანი-  
სა ჩვენისა ჟამიგან მცხეთის საყდრის  
მამული ყოფილიყვნენ და ეპისკო-  
პოსნი და მწყვერელი თქვენგან სა-  
კურთხელი ყოფილა და სხვანი სამ-  
ცხის ეპისკოპოსნი, ყოველივე ისრე  
თქვენნი სამწყსონი იყვნენ და ისრე  
დავამორჩილეთ და საღმრთოთა და  
სულიერითა საქმითა თქვენისა ბრძ-  
ნებისა, მორჩილნი ვიყვნეთ. ამისა  
გათავებისა თავსმდებლად ღმერთი და  
სვეტი ღვთივ აღმართებული და ყო-

**თოვლის ნაფრთლები**  
კატულ მენდესასი

— რა მსურს და — თოვლის ნაფერ-  
თალი — სიტყვა ჩემმა სატრფომ, ჩემმა  
სიცოცხლემ, ჩემმა იმედმა.  
ვუპასუხე:  
— განა ვერ ხედავ, ჩემო კარგო,  
ველსა და მდელს აყვავებულსა? სა-  
დლა თოვლი? დიდი ხანია, რაც მხემ  
აილა. შენ გეთაყვანე, სხვა რამ მო-  
მთხოვე, სხვა დამავლე და მაშინ ნა-  
ხავ, რომ შენი მონა შენს სურვილს  
არსად გადუვა. მიბრძანე მხოლოდ.  
— რა მსურს და — თოვლის ნაფე-  
რთალი.  
— ეგება გსურდეს ეხლავ მოგარ-  
თვა უძვირფასესი ბრილიანტები? ან  
ი-გუნდი? ან ალისფერი ძვირფასი  
ემზავის?  
— რა მსურს და, — თოვლის ნაფე-  
რთალი.  
— ან ეგებ გსურდეს მეფის სასახ-  
ლე, ზღვისა ნაპირას აშენებული?  
გნებავს, მოგართმევ შენის ეტლის-  
თვის ისეთს ცხენებს, რომ არც ერთს  
მეფეს არც-კი ენახოს.  
— რა მსურს და, — თოვლის ნაფე-  
რთალი.

ლაღ წზიდა აწყვერისა ღვთის შმო-  
ბელი მოგვიხსენებია და რაც საათა-  
ბაგოშია მცხეთის საყდრისა მამულ-  
ნი იყვნენ, არც ისი დავიჭიროთ და  
მოგანებოთ“. ბ) „ესე წიგნი გვად-  
რეთ და მოგახსენეთ ყოვლისა სა-  
ქე-ტველოსა პატრიკა-კათალიკოსსა  
ბასილის ჩვენ კუმურდოვლ მთავარ  
ეპისკოპოსმან ზოსიმე (1340—1369)  
მას ჟამსა, ოდეს კუმურდოვლად  
ხელნი დამსხენ და თქვენ მიერ კურ-  
თხევა მივიღე, ასრე და ამა წესითა,  
პატრონისა ათაბაგის (სარგის ბექას ძე  
1306—1334 წ.) უზნოსა (?) საქმი-  
თა თქვენნი და თქვენისა საყდრისა  
გაუყრელნი და ერთგულნი ვიყვნეთ,  
საღმრთოთა და სულიერითა საქ-  
მითა რაც მცხეთის საყდრისა  
წლითი წლად სამსახური გემართებს,  
როგორც სხვათ სამცხის ეპისკოპოსთა  
რაცოდენ გვედვას, არც ჩვენ დაგა-  
კლოთ“. ერთის მხრივ მცხეთის კა-  
თალიკოზი მცდელობს სამცხე საა-  
თაბაგოს საზღვდელოების მორჩილე-  
ბასა და საქართველოს სამეფოსთან  
გაერთგულებას; მეორე მხრივ ანტი-  
ოქიის პატრიარქნი, ჯერ ბერძენთა და  
მერე ოსმალთა მომხრობით, მცდელი-  
ბენ სამცხე საათაბაგოს სამღვდელოე-  
ბის დამორჩილებსა. ამა ბრძოლის პირ-  
დალი შედვეი იყო ვიზანტიის ტა-  
მცხე-საათაბაგოს დამორჩილება ოს-  
მალთაგან. ვიდრე ვიზანტიას აფრე-  
ბული ჰყვანდა ძლიერი სამცხე-საათა-  
ბაგოს ერი, ცოცხალი იყო; რაკი  
უგუნური პოლიტიკით დაასუსტა იგი  
ერი და თვით ვერ მოუარა, როგორც  
თვით ვიზანტია (1453 წ.), ისე  
სამცხე საათაბაგო (1600 წ.) შეი-  
ქმნენ მსხვერპლნი ოსმალთა მძლა-  
ვრებისა (იხ. ვახ. ისტ. 286 და  
287 გვ.). ვგონებ ამა ბასილმა  
შეჭკრიბა ერთად მანბნეულნი სა-  
გალობელნი შიო მღვიმელისა და  
ხელ ახლად განაკარგნა, ერთად  
„სასწაულთათვის მოთხრობათათნა“  
(იხილე საქართ. სამოთ. 312, 353  
გვ. და opis. Шюмгв. пует. 17 გვ.  
იოსელი).

3. ცხვილოელი

**ბელაზი**. 22 მაისს ბრიუსელში  
მოხდა საერთაშორისო კონგრესი მა-  
დნების მუშებისა. ავსტრის დელე-  
გატმა ზინგერმა სიტყვა, ამ კონგრე-  
სისაგან ვერასფერს მოველი საკეთი-  
ლოსაო. შემდეგ ზინგერმა ილაპარა-  
კა შესახებ იმისა, რომ გაჭირვებაში  
არიან ჩავარდნილნი ბოგემიის მუშე-  
ბი. დასამტკიცებლად ბოგემიის მუ-  
შების საშინელ გაჭირვებისა და ხელ-  
მოკლეობისა მოგახსენებთ, რომ ჩვენ  
მუშებმა ჩემ მეტის გამოგზავნა ვერ  
მოახერხეს. გთხოვთ აჭარდეთ თქვე-  
ნის გარდაწყვეტილებით. ჩვენ არ  
შეგვიძლიან მუშათა რეფორმებს ის-  
ტიდხანს ველოდდეთ, როგორც ინგე-  
ლისელი მუშები. თუ რომ მართ-  
ლა სრულიად შეუძლებელია დღე-  
ში 6 საათის მუშაობის დაწესება,  
სხვა რამე მაინც ვეცადეთ, რომ  
ჩვენი მდგომარეობა ცოტათი მი-  
ნც გაუმჯობესდესო. ამ სიტყვის შემდეგ  
ილაპარაკა კოლეგ ტმა, შარლუს  
მუშამ. კოლეგტს სრული იმედი  
აქვს, თომ ჩვენს გულის წადილს  
მალე მივალწევთო. დარწმუნებული  
ვარ, ნორტუმბელანდია მუშები და-  
გვეხმარებინაო. კონგრესმა დააარსა  
სამუდამო კომიტეტი ბელგიისა, სა-  
ფრანგეთისა, ინგლისისა, ავსტრიისა  
დი გერმანიის მუშათა წარმომადგენ-  
ლებისაგან. შემდეგი კონგრესი გერ-  
მანიაში შეიკრიბება.

**ამერიკა**. 25 ივნისს ჩიკაგოში,  
ვალდების სასაფლაოზედ აკურთხე-  
ბენ ძველს ხუთის ანარქისტისას, რო-  
მელიც სიკვდილით დასაჯეს ამ ხუ-  
თის წლის წინად. ძველი წარმოად-  
გენს ქალს; ერთი ხელი გულზედა  
ქვს მიკრული, მეორე ხელში დევ

დავრწმუნდი მაშინ, ჩემი სატრფო  
ისე ძლიერად გაუტაცნია ამ ახირე-  
ბულს და უცნაურს სურვილს, რომ  
არასოდეს ატარებდა ჩვენი ქვე-  
სთქვა ერთხელ.

აველ ალპის მაღალ მთისაკენ.  
აქაც ზაფხული გამეფებულა. მზე კა-  
შკაშებდა და თოვლის ნაფერთალს  
რა მოიყვანდა? თავდადებული სატ-  
რფოსთვის ვაი-ვავლახით აველ მთის  
წვერზედ, მაგრამ დახედეთ ჩემს მუხ-  
თალს ბედსა: თვით მთის წვერზედაც  
თოვლი არ მოდის!..

რალა თქმა უნდა, რომ ალპის  
მთა სულ თოვლით იყო მთლად შე-  
მოსილი, მაგრამ სატრფომ, თოვლი-  
კი არა, ნაფერთალი შემომიკვეთა.

ცხრა დღე და დამე უსმელ-უტყე-  
ლი ველოდდებოდი თოვლის მოსე-  
ლასა... ოჰ, ნეტარებავ! მეთვე დღე-  
ზედ მოვიდა თოვლი. მსწრაფლ ამო-  
ვიჩქნე ყინულის გული, ის ნაფე-  
რფლები შიგ მოვავროვე და წა-  
ველ სატრფოსთან. მადლობა ღმერთ-  
სა, გზაში არ დადნა.

— ჩემო სიცოცხლე, ავასრულე  
შენი ბრძანება.

— ამას რას ვხედავ? რა არის ესა?

— თოვლის ნაფერფლები.

— დიად, მეც ვედავ, ნაფერ-  
თლებია სწორედ თოვლისა. მაგრამ  
თეთრი რად არის?

— თეთრი რად არის?!

— ახ, ღმერთო ჩემო, როგორ ვერ  
მიხვდით, თეთრი-კი არა, მე ალის  
ფერი ნაფერფლები შემოგვიკვეთე.

## უცხოეთი

ა. ნ.

ნის გვარგინი უპირავეს, გვირგვინის ქვეშა წევს მკვდარი კაცი მუშის ტრანსამოსით, გარშემო ბზა მოფენილი.

წერილი ამაგი

რკინის კაცი.

რას არ მოაგონებენ ეს ამერიკელები! ეს ფინოკარაფია, ეს ტელეკოგრაფია, ეს ელექტროგრაფია და სხვა ამ გარდასახება რამდენა მოეგონათ.

დაიღ, მუშის მიერ გაკეთებული რკინის კაცი შედარებით დასვენებას და ერთადა სიგანას სწევს. ეს უსწავლა I საყენის სიმაღლისა და დიპტომის დიპტომით, რომ მიერუბულ ქუჩაში შეხედეთ სადმე მარტოს.

რის გამოსადგება ეს რკინის კაცი? კარგობით ეტლში ახამენ და ტანისა საქმისთვის. საუბედურად რკინის კაცი ბრძა და ამიტომ საჭიროა გზის სიგანა ასწავლოს. მაგრამ ვერ ხომ ესტად დაბადა. შემდეგ უკანადა ეხას დადგამს და გრუბუნად სიტყვასაც წარმოასთქვამს. იქნება თავმჯდომარედაც კი აიბრძინა სოფელ ვინ იცის?

სიმორბა იქით იყოს. მუშის მიერ გაკეთებული რკინის კაცი მართლაც რომ საუბედურად მანქანაა. ეს კაცი კარგად იტყუარება ამ განსხვავებით, რომ თავისუფალი არ მაგარავს, ფეხით დადას, მუცელში დუქული აქვს გამართული და გულში წყალი უდგას, ყელში ბუჩქისა, ქუდადგან ბოლი ამოდას, პირში სიგანა უჭირავს და ამ სიგანადგან გემოდას იართქლა. წელ ქვეით გამართულია აქვს მანქანა, რომელიც ფეხებს ამოძრავებს, მხრებთან მანქანა, ხელებს მოძრაობისათვის. ისე ჩანებულად დადას, როგორც ძლიერ ღონიერი და ჯანსაღი კაცი.

ეს კაცი ესტად ნაუ-იარაგში მრძანდება. ეტლში ახამენ და სამუშაო იარაღს ახადანებენ. ცოტა ხანს იქით იქნებულადაც გაუკეთონ ამერიკელებს ძლიერ მოსწონთ თურმე ეს რკინის ძლიერი, რომელსაც ავიადად შეუალან საათში 8-8 ვალამეტრი გაიაროს და არ დაიღალოს. მუშის—განხრანსაც აქვს, ეს თავის რკინის შეილი ხაგვას გაგზავნოს ფეხით. ამოაბენ, დოღში რომ გვირგვინით, კარგის ავიადას ფეხით სარეულშია.

— ვადა ვადატეხია ამ ცოტა უხანა სხუბრძეში გაეგზავნა საარსებოლოგია საზოგადოებას. ვადატეხინა უნდა იმოქმედოს უწინადად კვლევის გერისა. ეს კვლევისა, როგორც ისტორია გეოგრაფია, ქადატეხისა და მიკროსკოპი მუა მდებარეობდა. გაკეთება იწყებენ, რომ ვადატეხინა 200 მუშით სთხრის და ეტლს ამ კვლევისა სამარკველს და მქმისკვეთ უპოვანა ვადატე. ეს კვლევისა ბევრ კეთებუანია და, ისტორიის ვადატეხით, 423 წელს ქა. დაბადებულა

რეცხლმა გადახევა თურმე. რამდენსამე დღის განმავლობაში მუშებმა იმოკნეს ბრანხის სხვა-და-სხვა ნაოუულობა, სოლო რეცხლით გამდნარი. იმოკნეს აგრედეუ ბეურა გაზა, ქუჩუჭკლა კართიისა და მიკროსკოპის ხელაგნებისა. ვადა ვადატეხანა ამედატეხის, რომ აქ ბეურს მკირფასს ნაშის ამოკნას არსებოლოგიასათვის.

დებემა

28 მაისი

(საკუთარის გარეგნობისათვის)

მუთაინი. ვიდრე კენეს უყრიდნენ კ. ნ. ჩიკვიძეს, ქუთაისის სათავად-ახნაურა ბანკის კრებაზედ დიდი უწყისობა ატყდა, მზავისი იმისი, რომელიც 1891 წლის ოქტომბერს მოხდა. ჩიკვიძის მომხრენი თხოულობდნენ, ეხლავე კენეს ყრა უნდა იყოს, დაუყენებლიყო. მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, რადგან თავის დროზე არ მივიღეთ ცნობა იმისი, თუ რა დღეს იყო დანიშნული კრება; აგრედვე რადგან რწმუნების ქაღალდები, კრებაში წარმოადგენილი, სიმართლით არ არის შედგენილი, ვთხოულობთ: კენეს ყრაში მოწინააღმდეგების მიღების ნება მიეცით ახლად მოსულ წევრთაც და მიიღეთ ახალი ქაღალდები რწმუნებისაო. კრება დათხოვნილი იქნა ვიცე-გუბერნატორის განკარგულებით.

დებემა

27 მაისი.

მოსკოვი. ჩულოვეის მონასტრის დამსარგებლიან ქაღალდების გარდა, მოიბარეს 24 ნივთი: მიტრერი, პანამიები, კვერთხნი, და ჯვრები 50,000 მანათისა. მობარულ ფული დამ 1,114,000 ეკუთვნოდა სასულიერო წოდების ღირბთა სამხრუნველოს, 63,000 წმ. ნიკოლოზის ძმობას. ქაღალდის ფული 5,000 მანათამდე და სარგებლიანი ქაღალდები შენახული იყო სალოროში, თუნუქით შემოხვეტილი ხის ყუთში. იქვე იყო ცეცხლ-მიუკარებელი შკაფი, რომელშიაც იყო მონასტრის ფული, ქურდებმა ვერ გასტყვეს. ფული მოუბარავეთ. როგორც ჰფიქრობენ 14—18 მაისს.

ნივთები უკვე იზოვნეს. ლონდონი. თეირანიდამ იწერებინ დებეშით, რომ სპარსეთის მთავრობამ მისცა პოლიაკოვს 90 წლის ვადით კონცესია გზატყვევლის ვასკეთებლად კახიხისა, რეშტა და ენხელს შოის იმ უფლებით, რომ გზის აქეთ-იქით მხარეს პოლიაკოვს ნება ექმნება მამულების შემუშავებასაცა.

396). ვენგრის დელეგაციის კომისიამ მოამზადა მოხსენება დელეგაციების საერთო კრებისათვის. მოხსენებაში მოყვანილია სიტყვები გრაფ კალნოკისა რუსეთის შესახებ: ვენგრის დელეგაცია მუდამ იმ აზრისა იყო, რომ ავსტრი-ვენგრის მფლობელობა სხვა სხელმწიფოებთან უარ-

ყოფა არ არის იმისი, რომ ჩვენ არ გვინდოდეს რუსეთთან კეთილი მეზობლობა გვექნოდეს. ამ კეთილ მეზობლობას არც აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეები დაუშლის; ამ საქმეთა შესახებ, სწერია მოხსენებაში, ავსტრი-ვენგრის სურვილი მხოლოდ ის არის, რომ სხვა-და-სხვა მორიგებასა და ხელ-შეკრულობაზედ დამარბული დამოუკიდებლობა იმ ტომთა, რომელნიც სცხოვრობენ აღმოსავლეთის სხელმწიფოებში პირველყოფილი იყოს და იმათ ნება ჰქონდეთ თავიანთ კეთილ-დღეობისა და წარმატებისთვის იზრუნონ თავიანთ სურვილისამებრ.

გალიცასა და ბუკოვინაში დიდი წყაღილობაა და თანდათან უფრო საშიშარი ხდება. ვინცში 30 სახელი დაანგრა. ბევრს კიდევ უბირობს დანგრევისა. საშინელი გაკირვებაა. რკინის გზებზე შესწყდა მატარებლების მისვლა-მოსვლა.

მაზინბოტონი. გუშინ იქნა გამოცხადებული ხელ-შეკრულობა რუსეთთან დამნაშავეთა ერთმანეთისათვის მიცემის შესახებ. ეს ხელ-შეკრულობა ძალაში შევა 12/2, ივნისი-დამ.

ბანსხალეზანი

„სიჭაბუკის ცოლი“ ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასწველულია და დაუადებელია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით. თხზ. დ. — რის ლორმანისა. რუსულად გამოცემული დ— გ— დის მიერ. ფასი ერთი მანათი. ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასასწავლელი ზემოსწეულ მანკის შეღვევის ასაცილებლად და დასწველულის ფანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად. წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ. საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიის). უცხო-ქვეყნული წიგნის ვაჭრების ფასს იხილან.

პერსიდსკაია სირენი ნასტოაშიე დუხი სამაგო ვისოკაგო სორტა ბრონარნი №1

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარ დე... (უკუიში, ვარანკოვის ძეგლის პირდაპირ). ვადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა. დილაობით იღებენ: ბ. ა. ნავასარდაიანა, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულე-ბანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სი-ლიოსი). ე. მ. ჩიქიანი, 9—10 საათამდის, სნეულე-ბანი: თვალის და ნერვებ-ბისა—ტანში ტკივილებისა. დ. გ. რუდკოვსკია, 10—11 საათამდის, სნეულე-ბანი: შინაგანი, ბა-ვშევებისა და დედათა სქესისა. ა. ჭ. შრატკასკეანი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულე-ბანი: ყურის, ყელის და ცხვირისა. მ. წ. ქანასკია, 12 1/2—1 საათამდის, სნეულე-ბანი: საბებო და დე-დათ სქესისა. ს. შ. ვარაშკეანცა, 1—1 1/2 საათამდის, სნეულე-ბანი: შინაგანი და ბავშვებისა. საღამოობით მიიღებენ: ა. მ. ფუგინოვა, 5—6 საათამდის, სნეულე-ბანი: ბავშვებისა და ში-ნაგანი. ი. ვ. ჩეპურკოვსკია, 5—6 საათამდის, სნეულე-ბანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიშიურად და მიკროსკოპიულად განსჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს. ს. ა. ვადამსკია, 6—7 საათამდის, სნეულე-ბანი: ათაშანგი (სიფილი-სი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული). ბ. ა. ნავასარდაიანა, 7—7 1/2 საათამდის. ე. ი. ფრანცაუსა, 7—7 1/2 საათამდის, სნეულე-ბანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელოვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშა-ბათობით და პარასკეობით. რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათა შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის— მორიგებით. დირექტორი სამკურნალოასა, დოქტორი მედიცინის ნავასარდაიანი.

VERITABLE BENEDICTINE (სამდეალი ლიკიორი ბენედიქტნი) Fécamp-ის საბატონი (საფრანგეთში) საუცხოო, აღმინის მომლონიერებელი, საქმლის მონე-ლების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი. ყველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის. ვოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდას, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

„ნაპის პაპრიკები“ დუხი— „ნევის კაპრიკი“ ოლივოლონი— „ნევის კაპრიკი“ საპონი— „ნევის კაპრიკი“ „მაუსკ“ დუხები ახალი ამბავი „მაუსკ“ საბ. ჭოდე. სატენციკო და სასიძოო ლაბორატორიისა. „პაპრიკ ნაპის“ ვასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის. საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9. Москва, Никольская, д. Шереметьева. Варшава, Новый Светъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში (50—7)

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეცევი-საგან საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს მშენახეში-ა, ხეხილიანის ბაღაბისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალ-კე განყოფილება ყოველ შემოსენებულის სეცევისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევ-რად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეცევისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება მშ-ლიამინოვის ქუჩაზედ, ყუფანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ-ლია დილის 9-დამ ნაშუადღევს 2 საათამდე. (50—35) წარმომადგენელი ვაჭრისათვის: დ. ქ. თუთაია